



**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის აპარატისა და სარეზერვო
ფონდის საბიუჯეტო სახსრებისა და
მატერიალური ფასეულობების
გამოყენებისა და ხარჯვის**

**შესაბამისობის აუდიტის
ანგარიში № 67/36**



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

----- ნოე ქაშიბაძე

27 დეკემბერი, 2017 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისა და სარეზერვო ფონდის
საბიუჯეტო სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის

შესაბამისობის აუდიტის (01.01.2016 – 31.12.2016)

ანგარიში № 67/36

სარჩევი

ტერმინთა განმარტება.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	3
შესავალი.....	5
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	5
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	6
აუდიტის საგანი.....	6
აუდიტის მასშტაბი.....	6
გამოყენებული კრიტერიუმები.....	7
აუდიტის მიზანი.....	8
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ.....	9
შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება.....	10
წარმომადგენლობითი ხარჯები.....	12
საბიუჯეტო დეფიციტის მართვა.....	13
სარეზერვო ფონდიდან თანხების გაცემა.....	13
წინა წლებში ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა.....	16

ტერმინთა განმარტება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა - **აფხაზეთის მთავრობა;**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე - **მთავრობის თავმჯდომარე;**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი - **მთავრობის აპარატი;**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი - **რესპუბლიკური ბიუჯეტი;**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდი - **სარეზერვო ფონდი.**

შემაჯამებელი მიმოხილვა

1. 2016 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მთავრობის აპარატში დასაქმებული იყვნენ შტატგარეშე მომუშავეები და მათზე ანაზღაურდა - 70,726.13 ლარი, რაც წინა 2015 წელთან შედარებით 9,961.13 ლარით მეტია. მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა მიუხედავად, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით (გარკვეული ვადით), არამედ სამუშაოთა შესასრულებლად, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად.

გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, შტატგარეშე მოსამსახურეებზე ვრცელდებოდა მთავრობის აპარატის შინაგანაწესით გათვალისწინებული ვალდებულებები, თუმცა „მოსამსახურეთა აღრიცხვის ჟურნალში“ მათი აღრიცხვა ფაქტობრივად არ ხდებოდა; შტატგარეშე მომუშავეთა განათლების (კვალიფიკაციის) დამადასტურებელი დოკუმენტები რიგ შემთხვევაში შეუსაბამო იყო მათთვის შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ფუნქციებთან; შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში შესასრულებელი სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენის ფორმა განსაზღვრული არ ყოფილა, ხოლო მთავრობის აპარატში არსებულ კორესპონდენციაში, კონკრეტულ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით, შტატგარეშე თანამშრომლების მიერ ანგარიშის სახით შედგენილი რაიმე ტიპის ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა შესრულებული კონკრეტული სამუშაოს (მომსახურების) შედეგი და აქედან მიღებული სარგებელი, არ ფიქსირდება. შესაბამისად, ფაქტობრივად ვერ დასტურდება შტატგარეშე მომუშავეთა დასაქირავებლად გახარჯული სახსრების ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვა (გვ. 10).

2. ქვეყნის გარეთ განხორციელებულ მივლინებებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებულ პირზე ანაზღაურებულ იქნა წარმომადგენლობითი ხარჯები ჯამში 4,174.27 ლარის ოდენობით. ზოგადად ხარჯების ანაზღაურება (აღიარება) ხდებოდა ანგარიშვალდებულ პირის მიერ წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების შინაარსის შესწავლის შემდგომ, გადახდის ქვითარზე/ფაქტურაზე მითითებული თანხების მიხედვით. თუმცა, 4 შემთხვევაში ანაზღაურება მოხდა მხოლოდ წარმოდგენილ ქვითრებზე მითითებული თანხების შესაბამისად, ანუ თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების შინაარსის გაცნობის გარეშე, რის გამოც წარმომადგენლობით ხარჯად არასწორად იქნა აღიარებული 1,117.56 ლარი, საიდანაც აუდიტის მიმდინარეობისას ბიუჯეტის ანგარიშზე აღდგენილი იქნა 687.00 ლარი (გვ. 12).

3. საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების შესაბამისად, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 2016 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა ყოფილიყო 2015

წლის საკასო ხარჯზე მეტი. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც არსებითად არ გაზრდილა ორგანიზაციის ფუნქციები და კომპეტენცია, მთავრობის აპარატის მიერ 2016 წელს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიზარდა 16 %-ით, ანუ 9,961.13 ლარით (გვ. 13).

4. სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გახარჯული თანხების ოდენობამ შეადგინა 219,138.00 ლარი. მატერიალური დახმარებების სახით ფიზიკურ პირებზე სხვადასხვა სახის მკურნალობისათვის, სოციალური პრობლემების და სხვა მიზნებისათვის (სწავლების დაფინანსება, გარდაცვალებასთან დაკავშირებით და სხვ.) გაიცა - 185,670.00 ლარი, ხოლო სხვადასხვა ღონისძიებებისათვის იურიდიულ პირებზე - აფხაზეთის მთავრობის მხარჯავ დაწესებულებებზე გამოიყო - 33,508.00 ლარი. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდი იქმნება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად, უმეტეს შემთხვევაში, სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული ღონისძიებები ფაქტობრივად არ მიეკუთვნებოდა ბიუჯეტით გაუთვალისწინებელ გადასახდელებს. კერძოდ:

- 2016 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მაინც გაიცა 93,400.00 ლარი ისეთი გადასახდელებისათვის (სოციალურ-მატერიალური დახმარებები), რომლებიც გათვალისწინებული იყო 2016 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების ასიგნებებში. ამასთანავე, სარეზერვო ფონდიდან რიგ შემთხვევაში ზოგიერთ ფიზიკურ პირზე წლის განმავლობაში რამდენჯერმე (2-ჯერ, 3-ჯერ) სხვადასხვა მიზეზის გამო მატერიალური დახმარების სახით გაიცა ჯამში 15,340.00 ლარი, მაშინ როდესაც ანალოგიური პრობლემებით და მსგავსი მდგომარეობით შემოსული განცხადებები არ დაკმაყოფილდა მთელ რიგ შემთხვევაში და ისინი გადაიგზავნა რეაგირებისთვის აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობებსა და სხვა დაწესებულებებში.
- 21 შემთხვევაში 33,508.00 ლარი გაიცა ისეთი ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტის სწორი დაგეგმვისა და ეფექტური მენეჯმენტის პირობებში შესაძლებელი იქნებოდა გათვალისწინებულიყო რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცებისას შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების ღონისძიებების ასიგნებებში.

აფხაზეთის მთავრობაში შემუშავებული სარეზერვო ფონდის განკარგვის პროცესის წესი იყო ზოგადი ხასიათის და არეგულირებდა მთავრობის აპარატის მიერ სარეზერვო ფონდის განკარგვის პროცესის მხოლოდ ორგანიზაციული უზრუნველყოფის საკითხს. სხვა დოკუმენტი, სადაც ასახული იქნებოდა კონკრეტული კრიტერიუმები იმის შესახებ, თუ რა პრინციპებით და რამდენად სამართლიანად და სწორად ხდებოდა დასაფინანსებელი ღონისძიებების შერჩევა და საბოლოო ჯამში თანხების განკარგვა, რასაც ხელი უნდა შეეწყო სახსრების მიზნობრივად ხარჯვისა და გამჭვირვალობისათვის, ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვისათვის წარმოდგენილი არ ყოფილა(გვ. 13).

5. მიმდინარე აუდიტით კვლავ დაფიქსირდა ისეთი ნაკლოვანებები, რომლებიც მითითებული იყო წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტებისას. კერძოდ, ისევე როგორც წინა წლებში, სარეზერვო ფონდიდან თანხები გაიცემოდა ისეთი გადასახდელებისათვის (სოციალურ-მატერიალური დახმარებებისათვის), რომლებიც გათვალისწინებული იყო აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების წლიურ ბიუჯეტებში. ამ მხრივ, სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, მდგომარეობა არ გამოსწორებულა, პირიქით, თანხების ხარჯვა დინამიკაში გამოირჩეოდა ზრდის ტენდენციით. ასევე, მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მთავრობის აპარატში კვლავ იყვნენ დასაქმებული შტატგარეშე მომუშავეები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა მიუხედავად, რიგ შემთხვევაში ირიცხებოდნენ მთავრობის აპარატში ფაქტობრივად მთელი წლის

განმავლობაში და რომლებზეც ანაზღაურებული თანხები ხასიათდებოდა ზრდის ტენდენციით. მიუხედავად სას-ის მიერ დაფიქსირებული ნაკლოვანებებისა და გაცემული რეკომენდაციებისა, მდგომარეობის გამოსწორების კუთხით მიმდინარე წელს, ისევე როგორც წინა წლებში, მთავრობის აპარატის მიერ რაიმე არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა (გვ.16).

რეკომენდაციები

აფხაზეთის მთავრობის აპარატს

რეკომენდაცია N1: მთავრობის აპარატში საშტატო ნუსხით გაუთვალისწინებელ თანამდებობებზე პირთა დასაქმება უნდა განხორციელდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში და შესრულებული კონკრეტული სამუშაოს (გაწეული მომსახურების) იდენტიფიცირებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად ხარჯვას (გვ. 12).

რეკომენდაცია N2: სრულყოფილად იქნეს შესწავლილი მივლინებებთან დაკავშირებით წარმოდგენილი ყველა ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტი, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდეს შეძენილი საქონლის იდენტიფიცირება და მხოლოდ ამის შემდგომ მოხდეს საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების წარმომადგენლობით ხარჯად აღიარება (ჩამოწერა). გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, რათა აღდგეს ბიუჯეტის ანგარიშზე 430.56 ლარი (გვ. 12).

რეკომენდაცია N3: მთავრობის აპარატში საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების განხორციელებისას, მხედველობაში იქნეს მიღებული დადგენილი შეზღუდვები, განხორციელდეს კონტროლისა და მონიტორინგის ღონისძიებები და მოხდეს საქართველოს მთავრობის განკარგულების სათანადოდ შესრულება (გვ. 13).

რეკომენდაცია N4: მატერიალური დახმარებების, განსაკუთრებით სოციალური ხასიათის დახმარებების გაცემა განახორციელონ აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობებმა მათთვის დამტკიცებული ასიგნებების და წესის შესაბამისად.

სარეზერვო ფონდიდან სახსრების გამოყოფა მოხდეს მხოლოდ რესპუბლიკური ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად. შემუშავდეს სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფასთან (განკარგვასთან) დაკავშირებით ისეთი კონკრეტული კრიტერიუმები, რომლებიც იქნება გამჭვირვალობის, თანხების მიზნობრივად ხარჯვისა და სრულყოფილი კონტროლის (ანგარიშგების) საფუძველი (გვ. 16).

რეკომენდაცია N5: სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნეს სრულად, დროულად და სათანადოდ, რაც არსებითად შეუწყობს ხელს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად მართვას (გვ. 19).

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მთავრობის აპარატი პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. მთავრობის აპარატი ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის

სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

მთავრობის აპარატის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

მთავრობის აპარატის და სარეზერვო ფონდის საბიუჯეტო სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი წარმართა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI 4000), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას იმ მიზნით, რათა მიღებული იქნას გონივრული რწმუნება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა მთავრობის აპარატის და სარეზერვო ფონდის საბიუჯეტო სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენება და ხარჯვა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

აუდიტი ჩატარდა შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ამოწმებს ყველა ფინანსურ ოპერაციას. აუდიტის ანგარიში და დასკვნა არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას. ჩვენ მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა:

- 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება;
- 2016 წელს საქმიანობის განსახორციელებლად მიღებული დაფინანსება, მიმდინარე და კაპიტალიზირებული ხარჯები;
- ნორმატიული აქტებით მთავრობის აპარატისა და სარეზერვო ფონდის ხარჯვაზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების მდგომარეობა;
- მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის მდგომარეობა.

აუდიტის მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა მთავრობის აპარატის და სარეზერვო ფონდის საბიუჯეტო სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდი.

გამოყენებული კრიტერიუმები

- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულება „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილება „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №172 დადგენილება „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 21 დეკემბრის №439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანება „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9-ის „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 13 მარტის დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის №39 დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 15 იანვრის №2 დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 22 თებერვლის №11 დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შექმნის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2014 წლის 19 მაისის №240 ბრძანება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2014 წლის 26 აგვისტოს №450 ბრძანება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2014 წლის 17 თებერვლის №69 ბრძანება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში რისკების მინიმუმამდე შემცირების მიზნით ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2016 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში რისკების მინიმუმამდე შემცირების მიზნით ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2016 წლის 25 იანვრის №42 ბრძანება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის პროცესში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2012 წლის 2 მაისის №311 ბრძანება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისა და უფროსისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისადმი გამოსაცემი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის- ბრძანების გამოცემის კომპეტენციის განსაზღვრის შესახებ“;

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან

დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია - რეკომენდაციების შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ

მთავრობის აპარატი:

მთავრობის აპარატი შექმნილია აფხაზეთის მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვა მასალების მომზადების, აგრეთვე აფხაზეთის მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ხელშეწყობის მიზნით.

• მთავრობის აპარატის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

- ა) აფხაზეთის მთავრობის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების პირობების შექმნა;
- ბ) აფხაზეთის მთავრობის აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სხვა დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის ორგანიზება;
- გ) აფხაზეთის მთავრობის მიზნობრივი პროგრამების განხორციელება;
- დ) აფხაზეთის კონსტიტუციის შესაბამისად აფხაზეთის მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელება;
- ე) აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელთა სამართლებრივი აქტების გაუქმების შესახებ დასკვნების მომზადება;
- ვ) აფხაზეთის მთავრობისა და მთავრობის თავმჯდომარის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
- ზ) მთავრობის თავმჯდომარის საქმიანობის ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა;
- თ) მთავრობის თავმჯდომარის ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;
- ი) მთავრობის თავმჯდომარის საქმიანობასთან დაკავშირებული საპროტოკოლო ღონისძიებათა კოორდინაცია;
- კ) აფხაზეთის მთავრობის სხდომების (განსახილველი საკითხებისა და დღის წესრიგის პროექტების მომზადება) ორგანიზება;
- ლ) ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით შექმნილი სათათბირო ორგანოების - კომისიებისა და საბჭოების საქმიანობისადმი ხელშეწყობა;
- მ) სამთავრობო პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია და ამ პროგრამების შესრულების კონტროლი;
- ნ) აფხაზეთის მთავრობისა და მთავრობის თავმჯდომარის სახელზე შემოსული ადმინისტრაციული საჩივრების განხილვის სფეროში აფხაზეთის მთავრობისა და მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილებების განხორციელების უზრუნველყოფა;
- ო) სასამართლოსა და სხვა ორგანოებში აფხაზეთის მთავრობისა და მთავრობის თავმჯდომარის წარმომადგენლობა;
- პ) რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტა;
- ჟ) ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი პოლიტიკის საკითხებზე წინადადებების შემუშავება.
- რ) დოკუმენტების მიღების, დამუშავებისა და მომზადების ერთიანი წესისა და მასთან დაკავშირებულ დავალებათა შესრულება;
- ს) აფხაზეთის მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი;

ტ) კანონმდებლობის შესაბამისად, ცალკეული ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან ინფორმაციის, საჭირო დოკუმენტაციის გამოთხოვა;

უ) აფხაზეთის მთავრობისა და მთავრობის თავმჯდომარის გამგებლობის სფეროს კანონმდებლობით მიკუთვნებულ სხვა საკითხთა გადაწყვეტის ხელშეწყობა;

ფ) მთავრობის აპარატის წლიური ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის საკითხების შესახებ წინადადებების წარდგენა.

- მთავრობის აპარატი, დაკისრებულ ამოცანათა შესრულებისას, სამსახურებრივად ანგარიშვალდებულია აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის წინაშე;
- მთავრობის აპარატი ფინანსდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან;
- მთავრობის აპარატი ფინანსურ ანგარიშგებას წარუდგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს.

მთავრობის სარეზერვო ფონდი:

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რესპუბლიკურ ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს.

- სარეზერვო ფონდიდან თანხებს მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს შესაბამისი საფინანსო ორგანო;
- სარეზერვო ფონდის ათვისებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნისა და სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება ევალება მთავრობის აპარატის სტრუქტურული ერთეულს - აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან ურთიერთობისა და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტს. შესაბამისად, სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფის (ხარჯვის) კანონიერების, მიზნობრიობის კუთხით გაწეული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობას ძირითადად უზრუნველყოფდა ზემოაღნიშნული დეპარტამენტი. გარდა ამისა, დეპარტამენტის ფუნქციებში შედიოდა მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრების, წინადადებების განხილვა და მათზე რეაგირება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება

იმ პირობებში, როდესაც შტატით მომუშავეთა რიცხოვნება ფაქტობრივად შეადგენდა 57 ერთეულს, 2016 წლის გარკვეულ პერიოდში (6 თვემდე) ან მთელი წლის განმავლობაში (12 თვემდე), დასაქმებული იყო შტატგარეშე 12 მომუშავე (ანუ შტატით მომუშავეთა რაოდენობასთან მიმართებაში 21%¹) და მათზე ანაზღაურდა 70,726.13 ლარი, რაც „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ფაქტობრივი ხარჯების (108,765.55 ლარი) 65 %-ია, ხოლო შტატით მომუშავეთა „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ფაქტობრივი ხარჯების (887,549.21 ლარი) 8 %.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად², შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მოპოვებული მტკიცებულებებით, შტატგარეშე მომუშავეთ დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. კერძოდ, მთავრობის აპარატში 10 შტატგარეშე

¹ 12/57 X 100

² „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი და 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

პირი აყვანილი იყო 2016 წელს (6-12 თვე) მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად და მათზე ანაზღაურდა - 67,653.13 ლარი (თვეში საშუალოდ, 500-1000 ლარი), მათ შორის, 9 თანამშრომელზე გაცემულმა პრემიის ოდენობამ შეადგინა - 4,025.00 ლარი. ამასთანავე, შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით გაირკვა, რომ 2016 წელს მომუშავე 4 შტატგარეშე მოსამსახურე მთავრობის აპარატში მუშაობდა 2015 წელსაც (11-12 თვით) და ოთხივე ასრულებდა მათზე თავდაპირველად დაკისრებულ სამუშაოებს (მოვალეობებს).

გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, შტატგარეშე მოსამსახურეებზე ვრცელდებოდა მთავრობის აპარატის შინაგანაწესით გათვალისწინებული ვალდებულებები. თუმცა 2016 წლის „მოსამსახურეთა აღრიცხვის ჟურნალში“ ფიქსირდებოდა მხოლოდ ერთი მოსამსახურე.³

მთავრობის აპარატის ინფორმაციით, მუდმივი ხასიათის სამუშაოებისათვის შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება განპირობებული იყო მთავრობის აპარატის საქმიანობის რიგი სპეციფიკიდან გამომდინარე, ხოლო მათი შერჩევა ხდებოდა პროფესიული ნიშნით. ამავდროს, პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ „სოციალური ქსელების მართვა, მონიტორინგი და ანალიზი“ ევალებოდა პროფესიით მეზღვაურს, „მთავრობის მიერ ჩატარებული ღონისძიებების ფოტოგადაღება, ვებ-გვერდისათვის ფოტომასალის შეგროვება, დამუშავება, ფოტოარქივის შექმნა“ ევალებოდა პროფესიით, ინჟინერ-გეოლოგს, გეოფიზიკოსს. ამასთანავე არც ერთ მათგანს სხვა ტექნიკური ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი, ლიცენზია, დიპლომი) არ გააჩნდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით შესასრულებელი სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენის ფორმა განსაზღვრული არ ყოფილა, ხოლო მთავრობის აპარატში არსებულ კორესპონდენციაში, კონკრეტულ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით შტატგარეშე თანამშრომლების მიერ ანგარიშის სახით შედგენილი რაიმე ტიპის ოფიციალური დოკუმენტი (მოხსენებითი ბარათი, სამსახურებრივი ბარათი, ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ და სხვ.), რომლითაც დადასტურდებოდა მათ მიერ შესრულებული კონკრეტული სამუშაოს (მომსახურების) შედეგი და აქედან მიღებული სარგებელი არ ფიქსირდება.

დასკვნა

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა მიუხედავად, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით (გარკვეული ვადით), არამედ ხანგრძლივი პერიოდით, მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. ამასთანავე, შტატგარეშე მომუშავეთა განათლების (კვალიფიკაციის) დამადასტურებელი დოკუმენტები რიგ შემთხვევაში აშკარად შეუსაბამო იყო მათთვის შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ფუნქციებთან. შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში შესასრულებელი სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენის ფორმა განსაზღვრული არ იყო, ხოლო მთავრობის აპარატში არსებულ კორესპონდენციაში, კონკრეტულ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით შტატგარეშე თანამშრომლების მიერ ანგარიშის სახით შედგენილი რაიმე ტიპის ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა შესრულებული კონკრეტული სამუშაოს (მომსახურების) შედეგი და აქედან მიღებული სარგებელი არ ფიქსირდება, შესაბამისად, ფაქტობრივად ვერ დასტურდება (ვერ დგინდება) შტატგარეშე მომუშავეთა

³ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2014 წლის 19 მაისის №240 ბრძანებით დამტკიცებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შინაგანაწესის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი.

დასაქირავებლად გახარჯული სახსრების ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვა⁴.

რეკომენდაცია მთავრობის აპარატს

მთავრობის აპარატში საშტატო ნუსხით გაუთვალისწინებელ თანამდებობებზე პირთა დასაქმება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის⁵ მოთხოვნათა სრული დაცვით, მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში და შესრულებული კონკრეტული სამუშაოს (გაწეული მომსახურების) იდენტიფიცირებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად ხარჯვას.

წარმომადგენლობითი ხარჯები

2016 წელს ქვეყნის გარეთ განხორციელებულ მივლინებებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებულ პირზე ანაზღაურებულ იქნა წარმომადგენლობითი ხარჯები ჯამში 4,174.27 ლარის ოდენობით. ზოგადად, ხარჯების ანაზღაურება (აღიარება) ხდებოდა ანგარიშვალდებულ პირის მიერ წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების შინაარსის შესწავლის შემდგომ, ქვითარზე/ფაქტურაზე მითითებული თანხების მიხედვით. თუმცა, 4 შემთხვევაში მთავრობის აპარატის (საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების სამსახურის) მიერ 1,117.56 ლარი ანაზღაურდა მხოლოდ წარმოდგენილ ქვითრებზე მითითებული თანხების შესაბამისად, ანუ თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების შინაარსის გაცნობის გარეშე. შედეგად, როგორც ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, ზემოაღნიშნული თანხებიდან (1,117.56 ლარიდან) 3 შემთხვევაში 431.16 ლარი გაიხარჯა ისეთი ტიპის საქონლის შესასყიდად, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით⁶ არ ექვემდებარებოდა წარმომადგენლობით ხარჯად აღიარებას, ხოლო 1 შემთხვევაში, არასრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტების გამო, 686.40 ლარით შესყიდული საქონელი ფაქტობრივად ვერ იდენტიფიცირდა. აუდიტის მიმდინარეობისას ბიუჯეტის ანგარიშზე აღდგენილ იქნა 687.00 ლარი.

დასკვნა

წარმომადგენლობითი ხარჯების შესწავლა და ანაზღაურება მოხდა ანგარიშვალდებულ პირის მიერ მხოლოდ წარმოდგენილ ქვითრებზე მითითებული თანხების შესაბამისად, ანუ თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების შინაარსის გაცნობის გარეშე, რის გამოც წარმომადგენლობით ხარჯად არასწორად იქნა აღიარებული 1,117.56 ლარი.

რეკომენდაცია მთავრობის აპარატს

კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, შესწავლილ იქნეს მივლინებებთან დაკავშირებით წარმოდგენილი ყველა ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტი, განხორციელდეს შემენილი საქონლის იდენტიფიცირება და მხოლოდ ამის შემდგომ მოხდეს საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების წარმომადგენლობით ხარჯად აღიარება (ჩამოწერა). გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, რათა წარმომადგენლობით ხარჯად არასწორად აღიარებული თანხებიდან - 1,117.56 ლარიდან, ბიუჯეტის ანგარიშზე აღდგეს დარჩენილი 430.56 ლარი.

⁴ საქართველოს კანონი - „სახელმწიფო შიდა კონტროლის შესახებ“ მუხლი 7, პუნქტი 1.

⁵ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი; მთავრობის აპარატის შინაგანაწესი.

⁶ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტი; საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 33-ე პუნქტი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანების - „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ მე-4 თავის „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია“ კოდი: 224 „წარმომადგენლობითი ხარჯები“.

საბიუჯეტო დეფიციტის მართვა

საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების⁷ შესაბამისად, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 2016 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა ყოფილიყო 2015 წლის საკასო ხარჯზე მეტი. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც არსებითად არ გაზრდილა ორგანიზაციის ფუნქციები და კომპეტენცია, მთავრობის აპარატის მიერ 2016 წელს შტატგარეშე მომუშავეებზე გაცემულმა ანაზღაურებამ შეადგინა 70,726.13 ლარი, რაც 16 %-ით აღემატება 2015 წელს (60,765.00 ლარი) გაცემულ თანხას.

დასკვნა

მოქმედი წესით დადგენილი შეზღუდვების მიუხედავად, იმ პირობებში, როდესაც არსებითად არ გაზრდილა ორგანიზაციის ფუნქციები და კომპეტენცია, მთავრობის აპარატის მიერ 2016 წელს შტატგარეშე მომუშავეებზე გაცემული ანაზღაურების თანხები გაიზარდა 9,961.13 ლარით (16 %-ით).

რეკომენდაცია მთავრობის აპარატს

მთავრობის აპარატში საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების განხორციელების მიზნით, მხედველობაში იქნეს მიღებული დადგენილი შეზღუდვები, განხორციელდეს კონტროლისა და მონიტორინგის ღონისძიებები და სათანადოდ შესრულდეს საქართველოს მთავრობის განკარგულებაში.

სარეზერვო ფონდიდან თანხების გაცემა

აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები ბიუჯეტის კანონით განისაზღვრა 220,0 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ 219,1 ათასი ლარი შეადგინა. მთავრობის სარეზერვო ფონდის ხარჯვასთან დაკავშირებით საყურადღებოა, როგორც მთავრობის ბრძანებებით გამოყოფილი სახსრების მიზნობრიობა, ასევე სარეზერვო ფონდის ფარგლებში გამოყოფილი სახსრების ოდენობა და ჯამური მოცულობა.

სარეზერვო ფონდიდან სხვადასხვა მიზნებისათვის გამოყოფილი თანხები შეადგენდა:

კატეგორია	განცხადებების რაოდენობა	გაცემული თანხა
სხვადასხვა ღონისძიებისათვის	21	33,508.00
მატერიალური დახმარებები სოციალური მდგომარეობის გამო	563	93,400.00
მატერიალური დახმარებები მკურნალობისათვის	397	83,830.00
მატერიალური დახმარებები სხვა სახის (სწავლის, გარდაცვალების და ა.შ.)	18	8,400.00
სულ	999	219,138.00

⁷ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულება - „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მე-2 პუნქტი, დანართის პირველი პუნქტი.

2016 წელს აფხაზეთის მთავრობის 999 ბრძანებით, სარეზერვო ფონდიდან ჯამში გაცემული 219,138.00 ლარიდან, სხვადასხვა ღონისძიებებისათვის (იურიდიულ პირებზე) 21 შემთხვევაში გაიცა 33,508.00 ლარი, ხოლო 978 შემთხვევაში, აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობაზე (ფიზიკურ პირებზე) გაიცა 185,670.00 ლარის მატერიალური დახმარებები, მ.შ. სოციალური მდგომარეობის გამო, მკურნალობისათვის და სხვადასხვა გარემოებებისათვის (სწავლის დაფინანსება, გარდაცვალებასთან დაკავშირებით და სხვ.). მოქმედი კანონმდებლობის⁸ მიხედვით, მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, სარეზერვო ფონდიდან უნდა ხდებოდეს რესპუბლიკური ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსება. თუმცა კანონმდებლობის მოთხოვნის მიუხედავად, უმეტეს შემთხვევაში სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული ღონისძიებები ფაქტობრივად არ მიეკუთვნებოდა ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების კატეგორიას.

როგორც აღინიშნა, მთავრობის სარეზერვო ფონდი იქმნება რესპუბლიკურ ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად⁹ და არა მატერიალური და სოციალური დახმარებების გასაცემად. მიუხედავად ამისა, 2016 წელს მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებების საფუძველზე მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 563 შემთხვევაში გამოიყო 93,400.00 ლარი ისეთი გადასახდელებისათვის (სოციალური მდგომარეობის გამო მატერიალური დახმარებები - სოციალურ-მატერიალური დახმარებები საშუალოდ 100-500 ლარი და მეტი ოდენობით), რომელიც გათვალისწინებული იყო 2016 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის ასიგნებებში¹⁰.

სარეზერვო ფონდის განკარგვის პროცესთან დაკავშირებით კანონმდებლობიდან გამომდინარე¹¹, სარეზერვო ფონდიდან თანხების განკარგვა ხდებოდა მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით და მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული წესის¹² შესაბამისად. ამასთანავე, აღნიშნული წესი იყო ზოგადი ხასიათის და არეგულირებდა მთავრობის აპარატის მიერ სარეზერვო ფონდის განკარგვის პროცესის მხოლოდ ორგანიზაციული უზრუნველყოფის საკითხს. აუდიტის ჯგუფისთვის წარმოდგენილი არ ყოფილა სხვა დოკუმენტი, სადაც ასახული იქნებოდა კონკრეტული კრიტერიუმები იმის შესახებ, თუ რა პრინციპებით და რამდენად სამართლიანად ხდებოდა დასაფინანსებელი პირების შერჩევა, რასაც ხელი უნდა შეეწყო საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად ხარჯვისა და გამჭვირვალობისათვის და საბოლოოდ, ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვისათვის¹³.

შესაბამისად, დაფიქსირდა ისეთი შემთხვევები, როდესაც ზოგიერთ ფიზიკურ პირზე (დევნილზე) როგორც 2015 წელს, ისე 2016 წელს რამდენჯერმე გაიცა თანხა, ხოლო

⁸ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 90-ე მუხლი; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ 2016 წლის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი.

⁹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 90-ე მუხლი; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ 2016 წლის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁰ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ 2016 წლის კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტი.

¹¹ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ 2016 წლის კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹² აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2016 წლის 25 იანვრის №42 ბრძანება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის პროცესში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“.

¹³ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1 პუნქტი.

ზოგიერთი დევნილის განცხადება თანხის მიღებასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილებულა. ასე მაგალითად, სარეზერვო ფონდიდან 2016 წელს 29 ფიზიკურ პირზე რამდენჯერმე (2-ჯერ, 3-ჯერ) სხვადასხვა მიზეზის გამო (სოციალური მდგომარეობა, მკურნალობისთვის და სხვ.) გაცემულ იქნა ჯამში 15,340.00 ლარი. ამასთანავე, 2015 წელსაც ოთხ პირზე რამდენჯერმე იყო გაცემული თანხა, ჯამში - 3,400.00 ლარის ოდენობით. მთელი რიგ შემთხვევაში ანალოგიური პრობლემებით და მსგავსი მდგომარეობით შემოსული განცხადებები გადაიგზავნა რეაგირებისთვის აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობებსა და სხვა დაწესებულებებში.

გარდა მატერიალური დახმარებებისა, 21 შემთხვევაში შესაბამისი ბრძანებებით სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 33,508.00 ლარი სხვადასხვა ღონისძიებებისათვის. 2016 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, დაფინანსდა ერთი და იგივე (მსგავსი) ღონისძიებები. ასე მაგალითად, მთავრობის თავმჯდომარის ბრძანების¹⁴ შესაბამისად, აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების ესპანეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტს გამოეყო 9,930.00 ლარი. ამავე დეპარტამენტს იმავე ღონისძიებასთან დაკავშირებით 2015 წელს ჩაერიცხა - 9,970.00, 2014 წელს - 8,490.00, ხოლო 2013 წელს - 7,500.00 ლარი. ამდენად, ნაცვლად იმისა, რომ სათანადო არგუმენტაციის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ღონისძიებისათვის თანხები გათვალისწინებულიყო შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებებში (პროგრამაში), დაფინანსება ხდებოდა სარეზერვო ფონდიდან. გარდა აღნიშნულისა, 20 შემთხვევაში სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 26,578.00 ლარი აფხაზეთის მთავრობის მხარჯავი დაწესებულებებისთვის მთელი რიგი ისეთი ღონისძიებების ჩასატარებლად, რომელთა დაფინანსებაც ბიუჯეტის სწორი დაგეგმვისა და ეფექტიანი მენეჯმენტის პირობებში, შესაძლო იქნებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო მხარჯავი დაწესებულებების წლიურ ასიგნებებში. სარეზერვო ფონდიდან თანხების ათვისებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნისა და სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან ურთიერთობისა და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტის (დეპარტამენტის) ფუნქციას.¹⁵ გარდა ამისა, დეპარტამენტის ერთ-ერთ ფუნქციაა რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადებასა და განხილვაში მონაწილეობის მიღება და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის საკითხებზე წინადადებების შემუშავება.¹⁶ აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების ესპანეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტისათვის თანხების ყოველწლიურად გამოყოფის მიუხედავად, დეპარტამენტს 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონში აღნიშნული სახის ღონისძიების კონკრეტული პროგრამის ან აღმასრულებელი დაწესებულების შესაბამის ბიუჯეტში თანხის გათვალისწინების მიზნით, 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განხილვისას შესაბამისი წინადადება არ წარმოუდგენია. თუმცა აღნიშნული საკითხი სრულად იქნა გათვალისწინებული 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცებისას.

¹⁴ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2016 წლის 04 მაისის №306 ბრძანება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“;

¹⁵ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 22 თებერვლის №11 დადგენილების - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შექმნის შესახებ“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი;

¹⁶ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 22 თებერვლის №11 დადგენილების - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შექმნის შესახებ“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ და „კ“ ქვეპუნქტები.

დასკვნა

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების მიუხედავად, 563 შემთხვევაში სარეზერვო ფონდიდან 93,400.00 ლარი მაინც გაიცა ისეთი გადასახდელებისათვის (სოციალურ-მატერიალური დახმარებებისათვის), რომლებიც გათვალისწინებული იყო რესპუბლიკურ ბიუჯეტში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების ასიგნებებში. ამასთანავე, აღნიშნული კუთხით დაფიქსირდა როგორც არსებული პრეცედენტების (164 შემთხვევა - 41,1%-ით), ისე გაცემული თანხების მოცულობის (5,500.00 ლარით - 6,3%-ით) არასახარბიელო (დაუშვებელი) ზრდის ტენდენცია;

21 შემთხვევაში 33,508.00 ლარი გაცემულ იქნა ისეთი ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომელთა გათვალისწინებაც ბიუჯეტის სწორი დაგეგმვისა და ეფექტური მენეჯმენტის პირობებში შესაძლებელი იქნებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცებისას შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების ღონისძიებების ასიგნებებში;

სარეზერვო ფონდიდან თანხების განკარგვასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ შემუშავებული სარეზერვო ფონდის განკარგვის პროცესის წესი იყო ზოგადი ხასიათის და არეგულირებდა მთავრობის აპარატის მიერ სარეზერვო ფონდის განკარგვის პროცესის მხოლოდ ორგანიზაციული უზრუნველყოფის საკითხს. სხვა დოკუმენტი, სადაც ასახული იქნებოდა კონკრეტული კრიტერიუმები იმის შესახებ, თუ რა პრინციპებით და რამდენად სამართლიანად და სწორად ხდებოდა დასაფინანსებელი ღონისძიებების შერჩევა და საბოლოო ჯამში თანხების განკარგვა, რასაც ხელი უნდა შეეწყო სახსრების მიზნობრივად ხარჯვისა და გამჭვირვალობისათვის, ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვისათვის, წარმოდგენილი არ ყოფილა.

რეკომენდაცია მთავრობის აპარატს

მატერიალური დახმარებების, განსაკუთრებით სოციალური ხასიათის დახმარებების გაცემა განახორციელონ აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობებმა მათთვის დამტკიცებული ასიგნებების და წესის შესაბამისად.

სარეზერვო ფონდიდან სახსრები გამოიყოს მხოლოდ რესპუბლიკური ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად. შემუშავდეს სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფასთან (განკარგვასთან) დაკავშირებით ისეთი კონკრეტული კრიტერიუმები, რამლებიც იქნება გამჭვირვალობის, თანხების მიზნობრივად ხარჯვისა და სრულყოფილი კონტროლის (ანგარიშგების) საფუძველი.

წინა წლებში ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა

შრომის ანაზღაურებისა და წარმომადგენლობითი ხარჯების კუთხით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად წინა აუდიტით გაცემული რეკომენდაციების ნაწილობრივ შესრულების მიუხედავად, მიმდინარე აუდიტით მთავრობის აპარატში კვლავ დაფიქსირდა ისეთი ნაკლოვანებები¹⁷, რომლებიც გამოვლინდა წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტებისას.¹⁸ კერძოდ:

¹⁷ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1 პუნქტი; საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 90-ე მუხლი; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური


ა) სარეზერვო ფონდიდან თანხების ხარჯვა:

მიმდინარე წელს, ისევე როგორც წინა წლებში, სარეზერვო ფონდიდან თანხების გაცემა ხდებოდა ისეთი გადასახდელებისათვის (სოციალურ-მატერიალური დახმარებებისათვის), რომლებიც გათვალისწინებული იყო აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების წლიურ ბიუჯეტებში. ამ მხრივ, სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, მდგომარეობა არ გამოსწორებულა, პირიქით 2013-2016 წლებში თანხების ხარჯვის პროცესი გამოირჩეოდა ზრდის ტენდენციით:


წელი	სოციალური პრობლემების გამო გაცემული მატერიალური დახმარებები	
	თანხის მიმღები პირების რაოდენობა	გამოყოფილი (გაცემული) თანხა ლარებში
2013	74	21,850.00
2014	168	38,150.00
2015	399	87,900.00
2016	563	93,400.00
ჯამი	1,204	241,300.00

2013-2016 წლებში დაფიქსირდა სოციალური პრობლემების გამო გაცემული მატერიალური დახმარებების ზრდის არასასურველი დინამიკა:

თანხის მიმღები პირების რაოდენობის ზრდა დინამიკაში



მატერიალური დახმარებების სახით გაცემული თანხების ზრდა დინამიკაში (ლარებში)



ბ) შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება:

2016 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მთავრობის აპარატში კვლავ იყვნენ დასაქმებული შტატგარეშე მომუშავეები. მართალია, გარკვეული პერიოდით დასაქმებულ შტატგარეშე მოსამსახურეთა როგორც რაოდენობა, ისე

ბიუჯეტის შესახებ 2016 წლის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი; „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი და 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

¹⁸ სას-ის 2014 წლის 8 სექტემბრის „აფხაზეთის ა/რ მთავრობის აპარატის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N14/129“; სას-ის 2015 წლის 18 თებერვლის „აფხაზეთის ა/რ მთავრობის აპარატის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N4/129“; სას-ის 2016 წლის 20 იანვრის „აფხაზეთის ა/რ მთავრობის სარეზერვო ფონდის შესაბამისობის აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N1/36“; სას-ის 2017 წლის 9 თებერვლის „აფხაზეთის ა/რ მთავრობის აპარატისა და სარეზერვო ფონდის შესაბამისობის აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N4/36“.

მათზე გაცემული ანაზღაურება წინა 2015 წელთან შედარებით შემცირდა, მაგრამ მუდმივად რიცხული შტატგარეშე მომუშავეების კუთხით, კვლავ შეიმჩნევა როგორც რიცხოვნების, ისე ანაზღაურებული თანხების ზრდის ტენდენცია.

ათ. ლარი

წელი	შტატგარეშე მომუშავეთა დინამიკა				სულ შტატგარეშეები		სულ გაცემული	
	გარკვეული პერიოდით დასაქმებული		მუდმივად მომუშავე					
	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	% წინა წელთან	თანხა	% წინა წელთან
2013	10	34,6	1	5,7	11	-	40,3	-
2014	15	60,8	3	21,9	18	164	82,7	205
2015	4	5,7	7	55,1	11	61	60,8	74
2016	2	3,1	10	67,7	12	67	70,8	116
ჯამი	31	104,2	21	150,4	52		254,6	

გ) წარმომადგენლობითი ხარჯები

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაცია 2015 წელს წარმომადგენლობით ხარჯად არასწორად აღიარებული და გაცემული თანხების ბიუჯეტის ანგარიშზე დაბრუნებასთან დაკავშირებით შესრულდა და მოხდა თანხის სრულად აღდგენა - 2,610.90 ლარის ოდენობით. თუმცა, მიმდინარე აუდიტის ფარგლებში 2016 წელს, კვლავ დაფიქსირდა მსგავსი შემთხვევა¹⁹.

დ) საბიუჯეტო დეფიციტის მართვა

საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების გათვალისწინებასთან დაკავშირებით, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა ამგვარია:

N	ხარჯები	2014წლის საკასო ხარჯი	2015წლის საკასო ხარჯი	2014 /2015 (3-2)/2	2016 წლის საკასო ხარჯი	2015/2016 (5-2)/2	% (5-3)/3
	1	2	3	4	5	6	7
1	შრომის ანაზღაურება	806625.75	894538.99	11%	887549.21	10%	-1%
2	თანამდებობრივი სარგო	672193.25	756306.49	13%	722611.21	8%	-4%
3	წოდებრივი სარგო	13020	10745	-17%	6468	-50%	-40%
4	პრემია	116652.5	120173.5	3%	158470	36%	32%
5	დანამატი	4760	7314	54%	0	-100%	-100%

¹⁹ იხ. „წარმომადგენლობითი ხარჯების“ პარაგრაფი.

2016 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაცემული თანხების ოდენობა 2015 წელთან მიმართებაში 1% -ით შემცირდა, თუმცა 2014 წლის მონაცემებთან შედარებით გაცემული თანხები მაინც გაზრდილია 10%-ით. „წოდებრივი სარგოს“ და „დანამატის“ ქვემუხლში საკასო ხარჯების შემცირებამ (ჯამში - 11,312.00 ლარი) მნიშვნელოვანი ზეგავლენა ვერ მოახდინა საერთო პროცენტულ მაჩვენებელზე, რაც გამოწვეული იყო „თანამდებობრივი სარგოს“ და „პრემიების“ ქვემუხლით გაწეული ხარჯების არსებითი ზრდით (ჯამში 92,235.46 ლარი). ზემოაღნიშნული იმ პირობებში, როდესაც მთავრობის აპარატის ფუნქციები და კომპეტენციები არსებით ზრდას 2015 და 2016 წლებში არსებითად არ გაზრდილა, მიუთითებს, რომ მთავრობის აპარატმა საქართველოს მთავრობის განკარგულებით დადგენილი შეზღუდვები არ გაითვალისწინა.

დასკვნა

სას-ის მიერ გაცემული კონკრეტული რეკომენდაციების მიუხედავად, რომლებიც მიმართული იყო გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოფხვრისაკენ, მთავრობის აპარატის მხრიდან არ გატარებულა ისეთი სათანადო ქმედითი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოფხვრას და ხელს შეუწყობდნენ საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად ხარჯვას.

რეკომენდაცია მთავრობის აპარატს

სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებული იქნეს სრულად, დროულად და სათანადოდ, რაც არსებითად შეუწყობს ხელს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად მართვას.

თარიღი:

27.12.2017

ხელმოწერა:

ბონდო გასვიანი
უფროსი აუდიტორი

მიხეილ გოდოლაძე
აუდიტორ-ასისტენტი

ეთერ კაცაძე
აუდიტორ-ასისტენტი

